იმედი L
ჯანმრთელობის დაზღვევა

სს სადაზღვევო კომპანია იმედი L
JSC INSURANCE COMPANY IMEDI L
თბილისი, 0177-ალ. ყაზბეგის 44
ს/კ 204919008
№ CBM/06660AB-15.04 2019 წ.

იმედი L
ON London STOCK EXCHANGE
ლონდონის საფონდო ბირჟაზე
საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი
GEORGIA HEALTHCARE GROUP

მოქალაქე თეა ლონგურაშვილს

ქალბატონო თეა,

სს "სადაზღვევო კომპანია იმედი L"-ში შემოსული განაცხადის (შემოსვლის #09831) პასუხად, რომლითაც მოთხოვნილია განმარტება თქვენი სამედიცინო მომსახურების საკითხის შესახებ, მოგახსენებთ შემდეგს: თქვენ დაზღვეული ბრძანდებით სს "სადაზღვევო კომპანია იმედი L"-სა და საქართველოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2018 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #840 ხელშეკრულების საფუძველზე, სადაზღვევო პერიოდი 01.01.2019 – 31.12.2019წწ, პოლისი #C 057768, ზარათის ტიპი BASIC, სქემა D.

აღნიშნული ხელშეკრულების 9.3 პუნქტის თანხმად, მზღვეველი/მიმწოდებელი უფლებამოსილია -

9.3. მზღვეველი უფლებამოსილია დაზღვეულს არ აუნაზღაუროს ის ხარჯი (თანხა), რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესაბამისად არ არის გათვალისწინებული შემსყიდველის სადაზღვევო პირობებით.

აღნიშნული ხელშკრულების პირობების თანახმად მზღვეველი/მიმწოდებელი ანაზღაურებს სამედიცინო ჩვენების მიხედვით დაგეგმილ თუ უკვე ჩატარებულ/მიღებულ სამედიცინო მომსახურებებს (ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა).

ამავე ხელშეკრულების #1 დანართის 8.1 პუნატის თანახმად -

8.1. მომსახურება ითვალისწინებს სადაზღვევო პაკეტით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურებისას, როგორც თერაპიული, ასევე ქირურგიული მკურნალობის (ოპერაციული მკურნალობა - ნებისმიერი გაუტკივარებით) ხარჯების ანაზღაურებას, დაზღვეულის სამედიცინო ჩვენებით სტაციონარში 24 სთ–ზე მეტი ხნით განთავსების შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნებისმიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში;

სადაზღვევო კომპანიაში წარმოდგენილია სს „კ. ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ცენტრი" მიერ გაცემული სამედიცინო დოკუმენტაცია, ფორმა #IV-100/ა, რომლის თანახმად თქვენი დიაგნოზია: J18.9 მარცხენამხრივი მწვავე პნევმონია. ჩატარებულია სტაციონარული მომსახურება, პერიოდი: 16.02.2019 – 20.02.2019წწ. სამედიცინო მომსახურების ღირებულება გადახდილია თქვენს მიერ სრულად და წარმოდგენილია მზღვეველთან ასანაზღაურებლად.

სადაზღვევო კომპანია ხელმძღვანელობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და უფლებამოსილების ფარგლებში და იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე არ ფიქსირდება საზოგადოებაში შეძენილი პნევმონიის მართვის ჯანდაცვის გაიდლაინის მიხედვით ჰოსპიტალიზაციის სამედიცინო ჩვენება, შესაბამისად, მზღვეველი, სამწუხაროდ, მოკლებულია შესაძლებლობას დადებითად გადაწყვიტოს სამედიცინო მომსახურების აღიარების და ანაზღაურების საკითხი. (წყარო:https://www.moh.gov.ge/uploads/guidelines/2017/06/08/9d8016e36967edc2e75fa09005291d28.pdf).

პატივისცემით,

თამაზ კვიწინაძე
მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის უფროსი

იმედი L
№ 3
204919008

სს. "სადაზღვევო კომპანია იმედი L"
JSC. "Insurance Company Imedi L"
თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #9, 0186.
9, A. Politkovskaia str., 0186, Tbilisi, Georgia
T+995 32 29200404 | T+995 32 2922222
info@imedil.ge | imediL.ge